შინაური საქმეები

ყოველკვირული გაზეთი

№ 10.

კვირა, ივნისი 15, 1908 წ.

ფასი წლიურათ — — 4 მან.

ნახევარი წლით — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეიკათ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: რას ამბობს მიცვალებული დღევანდელ ცრუ წინასწარმეტყველებზე? სახარება, როგორც ცხოვრების საფუძველი (გაგრძელება)—ე. ჩ—ძე-ისა; მამუკები (ლექსი)—რ. საჯავახოელისა; ახლო-მახლო (გაგრძელება)—კირილე წუთისოფლელისა; დაბადების მოთხრობა (გაგრძელება)—ტონკმელისა; წერილი რედაქციის მიმართ—ვაკისუბნის მღვდლისა; კვირიდამ კვირობამდე; მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას (გაგრძელება)—სანმანიანისა.

ყოველ კვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი ღირს 8 კ. აპრილიდგან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

რას ამბობს მიცვალებული დღევანდელ ცრუ მოძღვრებზე?

სულმნათი გაბრიელი 1877 წ., ე. ი. 31 წლით ადრე გრძნობდა დღევანდელ ცრუ მოძღვართა დამღუპველ მიმართულებას და აფრთხილებდა მსმენელებს, მტკიცედ მდგარიყვენ სარწმუნოებაზე. ამასთანავე ისე აგვიწერს ამ მიმართულებას და ისე ახასიათებს რამოდენიმე სიტყვით ცრუ-მოძღვართა პირისახეს, გეგონება, გუშინდელი ნათქვამიაო. რადგანაც ზეგარდმო მადლით ცხებულ ადამიანის სიტყვას არასოდეს ფასი არ დაეკარგება, მიტომ მოვიყვანთ ამ შესანიშნავ ქადაგებას ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე. ეს იქნება სარკე, რომელშიდაც ცრუ-მოძღვარნი, თუ ჩაიხედავენ, ცხადად დაინახავენ თავის სახეს და თუ ამ სახის გამომეტყველება არ შეაშინებსთ თავის სიმახინჯით, ეცოდინებათ მაინც, რა ყმაწვილებიც არიან, რა წმინდა წყლის შვილებიც არიან. აი ეს შესანიშნავი ქადაგება, რომელშიდაც, რაც დაუფარავს მქადაგებელს ცრუ-მოძღვართა მოძღვრება-მიმართულებისაგან, რომ მით არ შეემწიკვლა, არ შეეგინებია ის წმიდა ადგილი, საიდგანაც ქადაგობდა, ჰწკარსა და ჰწკარ შუა იკითხება, მაგ. ნათესაობის უარყოფა და ვნებათა ღელვის ურცხვი დაკმაყოფილების თავისუფლება.

სიტყვა

თქმული საკათედრო ეკკლესიაში 1877 წელსა, წინაშე შეკრებილთა მოსწავლეთა სხვა-და-სხვა სასწავლებელთაგან.

> ეკრძალენით ცრუ-წინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდენ თქვენდა სამოსლითა ცხოვართათა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ-მტაცებელ. ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი. (მათ. 7, 15—16).

ამ სიტყვებით, ძმანო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, უფალი ჩვენი იესო ქრისტე გვასწავლის ჩვენ, რომ გავუფრთხილდეთ, მოვერიდოთ ცრუთა წინასწარმეტყველთა, ესე იგი ცრუთა მოძღვართა, მასწავლებელთა,

მელნი არა ჭეშმარიტებასა გვასწავლიან, არამედ სიცრუესა, ღვთისაგან გამოცხადებულის სჯულის და სიტყვის წინააღმდეგსა სწავლასა.

ახლა სწორედ მრავლდებიან ესრეთნი ცრუნი წინასწარმეტყველნი, ანუ მასწავლებელნი. ეს რომ მართალია, სუყველამ ვიცით. ზოგიერთა ჩვენგანთა არა თუ ვიცით, არამედ სატირლად და საგოდებლად გვგვიჩნდა ესა. ბევრნი მამანი არიან, რომელნი სტირიან ახლა და თავს იკლავენ ჯაფრითა, ახლანდელთა ცრუ-წინასწარმეტყველთა მიზეზით. მაშასადამე, ჩვენ, სულიერთა მოძღვართა თქვენთა, მიუკილებელი მოვალეობა გვაქვს, ხშირად გაგაფრთხილოთ თქვენ ამა ცრუ წინასწარმეტყველთაგან. მათ ახლაცა ისეთი ნიშნები აქვსთ და სახე, როგორიც ჰქონდა ცრუ-წინასწარმეტყველთა, მაშინ, როდესაც იესო ქრისტე იტყოდა ამა სიტყვებსა: „ეკრძალენით ცრუ-წინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდენ თქვენდა სამოსლითა ცხოვართათა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ-მტაცებელ. ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი.“ ახლანდელი ცრუ-წინასწარმეტყველნიც მოდიან სამოსლითა ცხოვართათა. ისინიცა შეაგონებენ, რომ მათ ჰსურსთ თქვენი წარმატება, სიკეთე და ბედნიერება; ტკბილად გელაპარაკებიან, მაგრამ შინაგან არიან მგელ-მტაცებელ. იმათ ჰსურსთ, რომ მოგტაცონ შენ ის, რაც არის უძვირფასესი კაცისათვის: მოგტაცონ და წაგართვან შენ ღმერთი და სჯული, ანუ, უმჯობეს არს თქმად, შენი სული გააშორონ და მოსტაცონ ღმერთსა და სჯულსა, და ჩააბარონ ეშმაკსა და ჯოჯოხეთსა. ვინ იცის, იქნება, მართლაც ზოგიერთნი მათგანნი დარწმუნებულნი არიან, რომ კეთილსა რასმეს ეძებენ, იქმნება მართლა ზოგიერთთა მათგანთა ქვეყნის ბედნიერება ჰსურს, მაგრამ ის ზომა და საშუალება, რომელ'აც იგინი აცხადებენ, შეიქმნება დაღუპვა ქვეყნისა, და არა გაბედნიერება: ნაყოფთა მათთაგან სცანით იგინი, იტყვის მაცხოვარი. ჭეშმარიტად, შეგიძლიათ, ძმანო, თუ დაუკვირდებით, მათთა ნაყოფთაგან იცნათ, ვინ და რანი არიან იგინი, ესე იგი მათის ცხოვრებისაგან და, უმეტეს, სიტყვათაგან სცნათ რა კაცნი არიან იგინი. აჰა ზოგიერთი მათი ნიშნები: თითქმის ყოველნი ახლანდელნი ცრუ-წინასწარმეტყველნი გამოსულნი არიან სასწავლებელთაგან, რომელნიცა მათ არ შეასრულეს, ანუ ვერ შეასრულეს, — ზოგმა სიზარმაცით, ზოგმა ცუდის ყოფა-ქცევისაგამო. მაშასადამე, ისინი ყოველნი არიან ნახევრად, ანუ ზედაპირად სწავლულნი, რომელიც სრულიად უსწავლელზედ უარესია, და თვითონ კი თავის თავს ჰრაცხვენ მეცნიერად, ბრძნად და წინასწარმეტყველად. მათი ამპარტავნება და თავხედობა ეთანასწორება მათს უმეცრებას. გარდა ამისა, უმეტესი მათგანი სრულიად ცუდის ყოფა-ქცევისა არიან, არც ერთს ცოდვას არ ერიდებიან; ბევრნი მათგანნი ახლავე, სიყმაწვილეში, ლეპებიან ცუდის სნეულებისაგან. მაგრამ უმჯობესად და უსწორესად თვით მათის სიტყვებისაგან და ლაპარაკისაგან შეიტყობა, თუ რა ნაყოფს უნდა მოველოდეთ მათგან. სიტყვაც და ლაპარაკიც ხომ ნაყოფია კაცის სულისა და გულისა, და ამასთანავე გამოაჩენს, რა საქმე უყვარს კაცს, რა საქმეს შეუდგება იგი. აბა, რას ლაპარაკობენ იგინი და რას წინასწარმეტყველებენ? ახლა, ამ მოკლე სიტყვებით ყოველიფერს, რასაც იგინი ჰბოდავენ, ვერ აგიხსნი, მხოლოდ რაოდენსამე მათსა ლაპარაკსა, როგორათაც გამიგონია, გეტყვი. ღმერთი, ეკკლესია და საღმრთო სჯული მათ არა სწამს, ამაზე მრავალ-გზის მითქვამს. მარტო ეს არის ხაკმაო, რომ შეიტყოთ, რა ცოფნი და ბრმანი არიან ისინი. ვისაც ღმერთი და მისი სჯული არა სწამს, იმას რადა კეთილი სიტყვა და საქმე შეუძლია ქვეყანაზე. მართლაც, სხვანიც მათნი აზრნი და სწავლანი არიან ერთობ განსაცვიფრებელნი და უგუნურნი. მაგალითებრ: უმეცროს-უფროსობა ადარ უნდა იყოს ქვეყანაზე, არამედ სუყველანი უნდა გასწორდნენ პატივითაც, ქონებითაც და ცხოვრებითაც. — თუ კი თვით ღმერთმა, ანუ როგორათაც იგინი იტყვიან, ბუნებამ, კაცი კაცთან არ გაასწორა, არც ჭკუით, არც გულით, არც გონებით, არამედ თვით დაბადებიდგან და სიყრმიდგან ზოგიერთნი ნიჭიერნი და ღონიერნი გამოდიან და ზოგიერთნი სუსტნი და უღონონი ჭკუ-

ით და სულითაც, ვინ და როგორღა გაასწორებს მათ? ქონება და ცხოვრება ყოველი კაცისა როგორ შეიძლება, რომ გასწორდეს? ზოგიერთი კაცი არის ჭკუიანი და მშრომელი, და რასაკვირველია, ბევრს შოულობს; ზოგიერთი არის ზარმაცი და გარყვნილი, და რაც დედ-მამამ დაუტოვა, ისიც დააბნია. ნუ თუ პირველმა თავის ნაშრომი და ნაოფლარი გაუყოს მეორეს? რა სამართალი იქნება ესა? ან კი რა გამოვა აქედგან? გამოვა ის, რომ პირველი წახდება და გაღარიბდება. და მეორეც არ გამდიდრდება. ზარმაცებს, გარყვნილებს, რასაკვირველია, კი იამებათ, რომ ჭკუიანთა და მდიდართა გაუყონ და გაუზიარონ თვისი ქონება, მაგრამ რა საშუალებით მოვახდინოთ ეს ცვლილება? აქ, ძმანო, ისინი, ახლანდელი ცრუ-წინასწარმეტყველნი, თურმე, ერთს ისეთს რამე საშუალებას იტყვიან, რომ არ დაიჯერებ, ზღაპარი გეგონება; არც მე მჯერა, მაგრამ მრავლის მხრით გამიგონია და კიდეც წამიკითხავს. ისინი თურმე, ამბობენ, რომ ვინც თანხმა არ გახდება ამ ჩვენის პლანისა და დაწყობილობისაო, იმათ უნდა სისხლი გამოუშვაო, ამოვწყვიტოთო, და მასუკან კაცობრივი ნათესავი გაბედნიერდებაო.

მაგრამ გვეყოფა, რაც აქამდის ვსთქვით. მე მრცხვენია ამ საღმრთო ადგილისაგან, რომ ესრეთი გადარეული და ცოფიანი აზრები მოვიყვანე თქვენს წინაშე, გარნა საჭიროებამ მაიძულა. როგორც წარსულს კვირას მოგახსენე, ცუდი და მძიმე დროება არის ახლა, ძმანო ჩემნო. მეშინის, რომ ვინმე თქვენგანი არ წარიტაცონ იმა ცრუთა წინასწარმეტყველთა. უმეტესად გაუფრთხილდით თქვენთა ძეთა და ასულთა. ისრეთი ურცხვენელნი არიან ის წინასწარმეტყველნი, რომ არავის ჰზოგვენ, არამედ ჰრყვნიან თვით მკირე-წლოვანთა ყრმათა.

„ეკრძალენით ცრუ-წინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდენ თქვენდა სამოსლითა ცხოვართათა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელმტაცებელ. ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი. ამინ.“

სახარება, როგორც ცხოვრების საფუძველი

ცივილიზაციის ძირითადი საფუძველნი.

გაგრძელება.[1])

რა პასუხი გავსცეთ ამის შესახებ? პირველად, როდესაც კრიტიკულად ვაფასებთ რომელიმე სარწმუნოებას საზოგადოდ და კერძოდ ქრისტიანობას მათის სიმაღლის და მნიშვნელობის მხრით, საჭიროა ყოველთვის, გავარჩიოთ ძირითადი იდეა სარწმუნოებისა თვალთ შეხედულ სინამდვილისაგან, არ უნდა ვურევდეთ ერთმანეთში მას, რაც არის და რაც უნდა იყოს. ადამიანს თავისი მოკლე ჭკუით და წრეს გადასულობით შეუძლია დაამახინჯოს და დაამდაბლოს თვით უდიდესი იდეა, მისცეს მას შეუფერებელი მახინჯური სახე; მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იდეა თავისთავად მახინჯია და მდაბიო. იდეა ნამდვილი თავისუფლებისა, რასაკვირველია, უბრალოა ანარხიზმის უგუნურ მოქმედებაში. ამავე მიზეზით არ შეგვიძლია, ბრალი დავსდვათ ქრისტეს მოძღვრებას ლოიოლების და ტორკვემადების ბნელ და უღვთო საქციელის გამო. ბ. როუ თავის საინტერესო თხზულებაში „ქრისტიანობის თვალსაჩინო ჰეშმარიტებანი“ ამბობს: „მორწმუნეთა შორის, რომელნიც ეკუთვნიან ქრისტეს ეკლესიას, ხშირად დიდი ცრუმორწმუნოება სუფევდა ხოლმე. ეკლესია ლოცვა-კურთხევას აძლევდა ისეთს საქციელზე, რომელიც პირდაპირ აღკრძალული ჰქონდა მას მისის დამფუძნებულისაგან; იგი,—სათქმელადაც კი შემზარავია,—ხმარობდა ხმალსაც, რომლის ქარქაშადვე მიქცევა საქვეყნოდ ბრძანა მაცხოვარმა. ყველა ეს უეჭველია, მაგრამ ეს უეჭველობა მით უფრო გასაკვირვლად ხდის იმ გარემოებას, რომ ეკლესია თავის დამფუძნებელის პიროვნებაში ყოველთვის პოულობდა უკვდავ პრინციპს თავის (განახლებისას) აღორძინებისას. ი. ქრისტეს მოძღვრებასა და პიროვნებაში არის რაღაც ღრმა აზრი, რომელიც ყოველთვის მაღლა იდგა არსებულ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე.

[1]) იხ. „შინ. საქ.“ № 9.

უბრალო დასურათება ქრისტეს პიროვნებისა იმ სახით, როგორც იგი დაუსურათებია მახარებლებს, გარდა იმ ცრუ დამატებებისა, რომელნიც მიაწერა მას ხალხის უგუნურებამ და ბოროტმა ნებამ, ყოველთვის იყო და იქმნება მიზეზად ეკლესიური ცხოვრების განახლებისა. ეს დამახასიათებელი და განსაკუთრებული თვისებაა ქრისტიანობისა".

სარწმუნოებრივი ომები, საყოველთაო ელეტა მწვალებელთა და ცეცხლი ინკვიზიციისა, არ არის ბუნებითი შვილი მაცხოვრის სარწმუნოებისა. ეს არის ბრიყული, წინააღმდეგი გადამახინჯება მისი, მძიმე შეურაცხყოფა, ლანძღვით შეხება ჯვარცმულის ყოვლისდამთმობი სიყვარულისადმი. ქრისტიანობას, როგორც სარწმუნოებას, გამსჭვალულს სახარების სიმშვიდისა, სიყვარულისა და მოწყალების სულით, ორგანიულად სძაგს ყოველგვარი ძალმომრეობა, მით უფრო ძალმომრეობა ღვთის სახელით, რომელიც, იოანე მახარებელის სიტყვით, არის თვით სიყვარული. ერთხელ, როდესაც სამარიელების უპატივცემულობისაგან გაანჩხლებულმა მოციქულებმა იაკობ და იოანემ მოახსენეს მოძღვარს: „უფალო, უკეთუ გნებავს, გვიბრძანე და ჩვენ გამოვითხოვთ, რომ ცეცხლი გარდმოვიდეს ზეცით და დასწვას იგინი, როგორც ილიამ ჰქნაო", იესომ მიუგო მათ: „არა იცით, რომლისა სულისანი ხართ, რამეთუ ძე კაცისა მოვიდა არა წარწყმედად სულთა, არამედ ცხოვრებადო". და წავიდნენ სხვა სოფელში. ღვარძლის იგავში ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს: „სასუფეველი ცათა ემსგავსა კაცსა, რომელმანცა დასთესა აგარაკსა თვისსა თესლი კეთილი. ხოლო ეძინა რა მსახურთა მისთა, მოვიდა მტერი მისი და დასთესა ხორბალთა შორის ღვარძლი და წავიდა. როცა ხორბალი აღორძინდა და მოიტანა ნაყოფი, მაშინ გაჩნდა ღვარძლიცა. მოვიდნენ მონანი უფლისანი დარქვეს მას: არა თესლი კეთილი დასთესია აგარაკსა შენსა, საიდგანღა აღმოცენდა ღვარძლი? ხოლო მან მიუგო მათ: კაცმან უკეთურმან ჰქმნა ესე. რქვეს მას მონათა: გნებავსა, რათა მივიდეთ და აღმოვფხვრათ იგი? ხოლო უფალმან მიუგო: არა, რათა არა ღვარძლთათანა აღმოფხვრათ იფქლიცა; უტევეთ ზრდად ორნივე ვიდრე მკადმდე". (მატ. 13, 34—30).

მოყვანილ ადგილების შემდეგ, ვფიქრობ, მეტია მისი განმარტება, რომ ქრისტეს მოძღვრებას არ უნდა დაედოს ბრალი იმ უგნურებისა და დანაშაულობისათვის, რომლებიც ჩაიდინეს მისმა ცრუ მოყვრებმა, განძვინებულმა წრეს გარდასულმა მორწმუნეებმა. მხოლოდ უმეცარებას და ბოროტებას შეუძლია დაბუროს ქრისტეს ნათელი სახე ფანატიზმისა და ცრუ მორწმუნოების ჩადრით, მაგრამ მისი ღვთაებრივი ბუნება,—ამით მაინც არ დაჭარგავს თავის სხივოსნობას. უნდა ვეცადოთ, რომ ფრთხილად მოვხსნათ შეუფერებელი რიდე, გავწმინდოთ სახე გარედგან დადებული ჭვარტლისა და მტვრისაგან და არა გავაქარწყლოთ თვით სურათი, რომელიც ჰხიბლავდა და ჰხიბლავს საუკეთესო ადამიანების გულს თავის ციური სიკეთით, სიმშვიდით და სიწმიდით.

დააფასეთ მიუდგომელად ის გავლენა, რომელიც იქონია ქრისტიანობამ წარსული 19 საუკუნის ისტორიაზე და თქვენ განცვიფრდებით, რამდენი ხიკეთე მოუტანა მან კაცობრიობას. როგორი წაუშლელი კვალი დააჩინა მან ჩვენს ცივილიზაციას, ჩვენს ზნეობას, ჩვეულებას, კანონმდებლობას, მეცნიერებას, ხელოვნებას. როგორ გააუჯობესა ზნეობა და გააკეთილშობილა კაცობრიობა. მილიონი ადამიანები იმაში პოულობდენ სიკეთისა და სიმართლისათვის ცხოვრების ძალას, მის საკურთხეველზე სხვერპლად მიჰქონდათ საუკეთესო გრძნობები და აზრები და მისს სამსახურში პოულობდნენ უაღრესს ლხენას. ნუ თუ ეხლა გაჰქრა მისი ცხოველ-ყოფელი ძალა, უეცრად დაშრა წყარო, რომელიც სულიერ წყურვილს უკლავდა ათას გადასრულ თაობას და სახარების ადგილს დაიჭერს მეცნიერებათა ენციკლოპედია? შესწევს თუ არა მეცნიერებას ძალა, დაიჭიროს სარწმუნოების ადგილი, როგორც ადამიანის ხელმძღვანელის ბრწყინვალე მომავლისაკენ? ეს კითხვა დიდმნიშვნელოვანია. მოუფიქრებლად მისი გადაწყვეტა დანაშაუ-

ლობაა: შეცდომას შეუძლია უბედურებამდის მიგვიყვანოს. ჩვენ გავსინჯავთ მას ისტორიულად: რა ძალები ამოძრავებდენ უმთავრესად კაცობრიობას აქნამდის მის წინ-სვლაში, რომელი უმთავრესი იდეალები ეხატება ჩვენს ქვეყნიერებას ეხლა და მათი განხორციელება შესაძლებელია თუ არა მოხდეს მხოლოდ გონებრივი მოძრაობით, ცოდნის შეძენით, განვითარებით, თავის ტვინის გაუმჯობესობით, თუ ეს იქნება შედეგი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წინ-სვლისა, გულის დამუშავებისა—? მსოფლიო ცხოვრება სხვა და სხვა სფერაში და მოვლინებაში წარმოადგენს ერთს საერთო სურათს ნელის, მაგრამ თანდითანობითი, განვითარებისას, იმ ძალების გაშლის და გაღვიძებისას, რომლებიც ჩანერგილია თვით ბუნების საძირკველში. როგორც ჩვენ ზევით უსაზღვრო ცის სივრცეში დრო მოქმულ გამქრალ მზეების მაგივრად იბადებიან ახალი ქვეყნები, ისე ადამიანის გულის სიღრმეში დაძველებულ და უკვე განხორციელებულ მიზნების მაგიერ ისახებიან და ირკვევიან ახალი იდეალები. ადამიანთა წვრილმანი, პირადი მისწრაფებანი სწრაფად იცვლებიან. მაგრამ გარდა კერძო დღიურ ვარამისა, კაცობრიობას თითოეულ განსაზღვრულ ეპოქაში აქვს განსაკუთრებული საზოგადო მიზნები, რომელთადმი იგი მიესწრაფება, საზოგადოების სულიერ ძალებს იპერს მოხვეჭილ მდგომარეობაში და რამდენიც მეტი დრო გადადის ადამიანის თავზე, მით ეს საერთო მიზნები, მისი უმთავრესი იდეალები უფრო ფართოვდებიან, მაღლდებიან და საყოველთაო ხასიათს ღებულობენ.

ე. ჩ—ძე.

(შემდეგი იქნება).

მამუკები

უწლოვნობით მოუვიდათ,
დაიკიდეს გულზე ჯვარი;
დაწლოვანდენ, გაუცხოვლდათ
ფიქრზე—ფიქრი, მჯავრზე—მჯავრი.

ბოლოს, ასე გადაწყვიტეს:
არ გვსურს, ვიყოთ მოძღვარიო,
დეე, ხალხმა დაგვიძახოს,
ნადიაკენ-ნახუცარიო!...

ვიცით, რწმენის წინააღმდეგ
არ დასვამენ არვის ხუცათ,
თუ არ სურდათ ანაფორა,
რათ გადიცვეს ასე უცბათ?!

რადგან დრამა არ მიართვეს,
არც აპამეს კვერ-ტაბლები,
ალბათ მისთვის გაიხადეს
ანაფორა და კაბები?!....

შერცხვეს, შერცხვეს მატყუარი,
განგებ მიხვე-მოხვეული,
გულით ფლიდი, საქმით მგელი
ცხვარის ტყავში გახვეული!....

ვისაც სალვთო მოწოდება
ზეცით არ აქვს მონაბერი,
იგი მღვდელი მღვდლათ არ ვარგა,
და არც ბერათ იგი ბერი.

მხოლოდ კუპის ანგარიშით
თუ ვინმეა კიდევ ხუცათ,
ის არც ერათ გამოდგება,
არც დიაკვნათ, არც ნახუცრათ.

ის ფლიდია, მატყუარი,
და უნდობი, როგორც გველი,
ღმერთს ატყუებს უწბილარათ,
ერც ებრალვის თავის მრევლი.

ვურჩევ გულით, უკუაგდონ
ურწმუნობა სძაგელი,
შეუერთდენ „ნამამუკვრებს“,
სხვა საქმეს მოკიდონ ხელი.

ალმაცერათ თუ გიყურებს
შენი მრევლი ვინაც არი,
სჯობს მოშორდე და გიძახონ:
ნადიაკვნარ-ნახუცარი...

რ. საჯავახოელი

ა ხ ლ ო - მ ა ხ ლ ო.

გაგრძელება.[1])

I.

ხშირად ხალხურ დასკვნებზე მეცნიერულადაც არ შეიძლება ეჭვის მიტანა და რატომ ხალხურად მაინც არ გავარჩიოთ ჩვენ თვითონ ის, რაზედაც, გვინდა თუ არა, მაინც გვარწმუნებენ?

გვიმტკიცებენ: „უდედ-მამოდ არასფერი ჩნდებაო. პირველი ჯიში, რომლისაგან ჩვენ ვართ წარმომდგარი არის თევზიო. თევზისაგან გადაგვარდა ქვემძრომი, ქვემძრომისგან ფრინველი, ფრინველისგან ოთხფეხი და ამ უკანასკნელისგან-კი, თანდათანობით ადამიანიო".— საიდუმლოდ რჩება ის საკითხი თუ ვინ იყო პირველი თევზის დედ-მამა. ამაზე უტყუარი საბუთი არა აქვსთ. ადამიანის უმდაბლეს ცხოველთაგან თანდისთანობით განვითარების დასამტკიცებლად, სხვათა შორის, მოყავთ ის აზრი, რომ: „ჩაესახება თუ არა დედას მუცელში შვილი, პირველად თევზსა სგავს, მერმე ქვემძრომს, შემდეგ ფრინველს, მას შემდეგ ოთხ-ფეხს, ბოლოს კაცს და კიდეც იბადება ადამიანიო". ვიკითხოთ: რომელ თევზს, რომელ ფრინველს, ან ოთხფეხს? ერთობ საკვირველია, ვინ გამოიცნო ორი კვირი'ს უკან დედა-კაცის გვამში ჩასახული თესლი ორაგულს გავდა, თუ წეროს?! თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მეცნიერებასაც ბევრი დასკვნები ზღაპარი გამოსვლია, ეს შეხედულობაც ზღაპრული და მარჩიელურია.

მეჭურჭლე ფიქრობს დოქი გააკეთოს. პირველად, რასაკვირველია, ფსკერს (ძირს) აკეთებს, მაყურებელი ფიქრობს: ქოთნის სარქველი კეთდებაო; მეჭურჭლემ დააშენა ფსკერზე მუცელი, ახლა-კი ფიქრობს უსათუოდ ქოთანს აკეთებსო; აი, შეუვიწროვდა თავი, რამაც იჭვი დაბადა: ეს რასა გავს? უსათუოდ ჭრაქი გამოვაო, მაგრამ მეჭურჭლემ დააშენა მუცელზე ყელი, გაუკეთა ტუჩი (პირი) და გამოვიდა დოქი. მოდით და აუხსენით დოქის კეთების უნახავს, რომ ეს საგანი პირველად სარქველს გავს, მერმე ქოთანს, შემდეგ ჭრაქს და ბოლოს გამოვა (იბადება) დოქიო.

„თევზი, ქვემძრომი, ფრინველი და ოთხფეხისაგან ადამიანის გადაგვარება მოხდა რამოდენიმე მილიონ საუკუნოების განმავლობაშიო". ამტკიცებს მეცნიერება. თუ ვიკითხეთ: რატომ ამდენი საუკუნოების განმავლობაში არ განმეორდა გადაგვარების და გადაკეთების (რასაკვირველია, შესანიშნავი, როგორც მაიმუნიდან ადამიანის გადაგვარებაა და არა მტრედის ფერის ხელოვნურად შეცვლა). ერთი მაგალითი მაინცო? პირდაპირ როდი მოგიგებენ. დააშენებენ, უსაზღვრო ოცნების წყალობით, თვალ აუწვდენელ ცაზე ორბის ფრთაზე მოტრიალე უზარ-მაზარ კოშკს, მოათავსებენ შიგ ვეებერთელა სახელმწიფოს, გაჩალხავენ ცხოვრებას და გინდა თუ არა, გეუბნებიან, რომ კაცი მაიმუნია და მაიმუნი კაცი, თუმცა ამ დასკვნას ადვილად არღვევს სულ უბრალო ძველი თქმულება: „თუ სახედარი სადმე ხეზე გასულა, ეს—ხე, და ეს სახედარი აბა აქაც გავიდესო!"

მეცნიერების და ხელოვნების უარისყოფა შეუძლებელია, მაგრამ ამათ ნაწარმოებთ შორის ის კი არ არის საკვირველი, რომ ხელოვნებამ 10-12 წლის ცდის შემდეგ მტრედს ფერი უცვალოს: თეთრი გიმოჩიკოს კვერცხიდან, ლურჯი, თუ ჭრელი, რაც დიდ საბუთად მოყავთ. საქმე ის არის ეს ფრინველი სხვა ფრინველად აქციოს—ქორად, არწივად, ბეღურად, ან სხ. არც ასეთი ვარჯიშობა დარჩენია უცდელად მეცნიერებას. სულ სხვა და სხვა რასის ცხოველები დართო ერთი მეორეს, მაგ. ვირი და ცხენი, რომლისაგან გაჩნდა ისევ დედ-მამის მსგავსი ცხოველი—ჯორი, და კიდეც ამ პირველსავე ნაწარმოებზე შეჩერდა ხელოვნურად გადაგვარების ძალა—ჯორი უნაყოფო გამოდგა, ვერ მიიღო მისგან კიდევ სხვა ნაწარმოები, ვერ წარსდგა წინ ბიჯი... გამიგონია: ერთი ფანატიკი მეცნიერი თურმე უცნაურად დაუახლოვდა მაიმუნს... უნდოდა ახალი ნაწარმოები მიეღო, მაგრამ ამაოდ, ტყუილად შეირცხვინა თავი...

---

[1]) იხ. „შინაური საქ." № 9.

„ეს-კი ბუნების ხელთაია—იტყვიან—რასაც ვერ შესძლებს ხელოვნება, მას ადვილად შესძლებს ბუნებაო“. კარგი, მაგრამ ბუნება თუ გადაგვარების გუნებაზე იდგა: თევზისაგან ქვემძროძი გამოაძვრინა, ამისგან ფრინველი, მერმე ოთხფეხი და ბოლოს კაცი, რატომ კაცისგან არ გადაგვარა კიდევ სხვა ცხოველი, მისგან კიდევ სხვა და ასე—ამ რიგად არ მოხდა გადაგვარება შემდეგშიაც? იტყვიან: „როდესაც გამოჩნდა სრულიად სრული ცხოველი, შემკული ჭკუა-გონებით, შემძლე არსობის საზრდოს მოპოვებისა, იქ შეჩერდა გადაგვარებაო“. ეს არ კმარა. პირველად, ბუნებას ასეთი მსხვილი გადაგვარების ძალა, რომ ჰქონოდა, ის სახესაც გამოსძებნიდა, რომელსაც შესძლებოდა ცხოვრების უნარი კაცზე მეტად გამოეჩინა და მეორედ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბუნება უგრძნობელია და არ შეუძლია თავის ნამოქმედარს ანგარიში მისცეს, მისი უკანასკნელი წერტილი ყოველად მოუფიქრებელია, მას თან და თან უნდა გადაგვარებია არსებიდან-არსება... ან რაკი მეცნიერება გვიმტკიცებს: „ბუნების ძალით, არსებობისთვის ბრძოლას მოყვა გადაგვარებაო“, რატომ ის უსუსური ცხოველები, რომელნიც ძლივ-ძლივობით აბერხებენ ცხოვრებას, არ გადაგვარდენ უფრო მარდ, უფრო მოხერხებულ და ძლიერ ცხოველებად? ამის პასუხად ცოტაა ის, რომ „ისინი ისედაც კმაყოფილნი არიან მცირე მოთხოვნილებითო“. მეცნიერებას მოყავს მაგალითებად ინფუზორიები და ზოოფიტები, რომელთათვის თურმე საჭირო არ ყოფილა, რომ შეცვლილიყვნენ, რადგანაც ისინი, ისედაც კმაყოფილნი ყოფილან მცირე მოთხოვნილებით და ინტერესით. ამის უფრო დასასაბუთებლად მეცნიერება ისევ გვეუბნება: „ორგანიზმი თუ მარტივი აგებულებისაა, მისი ფორმა მუდმივია, თუ რთული აგებულებისაა, უფრო ცვალებადიაო“. აი აქ ვხედავთ აზრთა წინააღმდეგობას, რომელშიც ან ის უნდა იყოს მართალი, რომ: „ორგანიზმი თუ მარტივი აგებულებისაა, მისი ფორმა მუდმივია, თუ რთული აგებულებისაა, უფრო ცვალებადია“, ან პირიქით: „ყოველი ცხოველის დედა თევზიაო“. თუ მართლაც თევზია ყოველი ცხოველის დედა, ის ყოფილა, როგორც ინფუზორიის, ისე სპილოს დედაც და მაშასადამე რანაირად მოხდა ის, რომ ერთი ინფუზორია დაკმაყოფილდა მცირე ინტერესით და მოთხოვნილებით და ინფუზორიადვე დარჩა,—მცირე ინფუზორიას კი გაეზარდა ინტერესი და სპილოდ გადაგვარდა?... ეს ხომ მტრედის ფერის შეცვლა არ არის!?

მეტყველების ნიჭი მარტო, რომ აქვთ, ისიც საკმაოდ არღვევს მეცნიერების აზრს კაცის წარმოშობის შესახებ. „ენა—ამბობს მეცნიერება—ადამიანს გარემოებამ შეათვისაო“... მართალია, გარემოება ბევრ რამეს ათვისებს ადამიანს, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ასეთმა გარემოებამ არც ერთ სხვა ცხოველს არ მიანიჭა მეტყველების ნიჭი. არ მისცა მაიმუნსაც, ამ ეთომც და ადამიანის „წარმოშობელს“, თუმც გარემოება—ბუნებასთან ერთად, მეცნიერებაც თავგანწირვით მეცადინეობს, რომ მაიმუნს ლაპარაკის ნიჭი განუვითაროს, მაგრამ ამაოდ რჩება ყოველგვარი ღვაწლი. ნუ თუ ბუნებამ ერთად-ერთი ცხოველი (კაცი) დაუჯილდოვა მეტყველების ნიჭით, როდესაც **ყოველ ცხოველს გარემოება აწვევს, ლაპარაკი იცოდეს?**

ნუ თუ ბუნებას გამოელია არაკეთი და დაკარგა ის ძალა, რომ მეორედ და მესამედ მოახერხოს ის, ისიც მეცნიერების და ხელოვნების შემწეობით, რაც ერთხელ მოახერხა მარტოდ-მარტო?! თუ ბუნებამ განმეორებითი ძალა დაჰკარგა, ერთხელ დაწყებული ბუნების მოვლენა არ უნდა შეიცვალოს სხვაზე, სულ მუდამ უნდა წვიმოს, ან თოვოს, ერთხელ გათენებული არ უნდა დაღამდეს, ყოველთვის ზამთარი უნდა იყოს, ან ზაფხული და სხ.

„ესკიმოსები და სხვა ველურები—ამბობს მეცნიერება—თვალ-საჩინოდ გვიმტკიცებენ, რომ ადამიანი მაიმუნიაო“. ჯერ მეტყველების ნიჭით მარტო, რომ შეეადარონ ეს ორი ჯიში, აქაც დიდ განსხვავებას ვნახავთ. არსად არ არის ისეთი ველური, რომელმაც ლაპარაკი არ იცოდეს კულტურულად წინსული, გადაგვარებას როდი ნიშნავს! ტა-

ნით ძმათ შორის შეიძლება ერთი ფილოსოფორი გახდეს და მეორეს არ ჰქონდეს ნიჭი მისი ხელის თითებიც დათვალოს, მაგრამ ეს კი არ ამტკიცებს იმას, ვითომც ისინი სხვა და სხვა იყვნენ ჩამამავლობით და აგებულობით.

დაბოლოს საჭიროდ მიგვაჩნია წამოვაყენოთ, გაკვრით მაინც, ის საკითხი თუ რამდენად შესაძლებელად, ან საეჭვოდ მიაჩნიათ თვით მეცნიერებსაც კი მაიმუნისგან ადამიანის წარმოშობის კანონი.

ნაწყვეტები მომყავს წიგნებიდან „დარვინიზმი", თხზულება ე. ფერიერისა, თარგმნილი ი. ფანცხავას მიერ 1896 წ.

1.—„დარვინის მიმდევართ დაკარგეს ფაქტთა მტკიცე ნიადაგი და წარმოდგენის ნასიზრმებ ბოდვაში დაიბნენ".—წიგნი პირველი გვ. 5.

2.—„ცნობილია, რომ დარვინიზმისათვის ბრძოლის უმთავრეს ასპარეზს ადამიანის წარმოება (წარმოშობა) შეადგენს. ადამიანი და ადამიანის მსგავსი მაიმუნები (გორილა, შიმპანზე, ორანგ-უტანგი და გიბბონი) ერთისა და იმავე წინაპრისაგან სწარმოებენ თუ არა? გერმანელი დარვინისტები, გატაცებულნი ფიცხი წარმოდგენის აღმაფრენით ამ საკითხზე გადაწყვეტილ პასუხს იძლევიან; მაგრამ მათ პასუხს დამამტკიცებელი საბუთი აკლია და ამიტომ ოცნებად უნდა ჩაითვალოს. საფრანგეთის დარვინისტები კი მტკიცედ ადგანან ფაქტს და ამიტომ ამბობენ: არა ვიცით რაო, ჯერ საკმაო საბუთი არა გვაქვს, რომ ეს საკითხი სავსებით გადავწყვიტოთო."—იქვე გვ. 8.

3.—„შესანიშნავია ის გარემოება, რომ ცხოველებს, აგებულებით ადამიანთან ახლოს მდგართ და მაღალი ჭკუის პატრონთ, ზრდასთან ერთად ნიჭი უსუსტდებათ: მათი ნიჭი წინ კი არა, უკან მიდის. ფილოსოფიაცა და მეცნიერებაც უძლურია ეს ფაქტი ახსნას. ასე რომ, მხოლოდ ადამიანის განსაკუთრებულ კუთვნილებას შეადგენს ჭკუა და გონიერება, რომელიც ზრდასთან ერთად გაუმჯობესდება და განვითარდება ხოლმე. ამ მხრით ადამიანი ფრიად დაშორებულია ცხოველებს".—იქვე გვ. 52.

4.—„წარსული ჩვენს ხელთ როდია. შეგვიძლია აწმყო შევისწავლოთ, ვიძიოთ და ვპოვოთ კანონები არსებობისა—სხვა კი ყოველივე ამის გარეშე ხელიდან გვისხლტება. „ადამიანის გონებას მხოლოდ ის შეუძლია, რომ რაიმე სათუო აზრი იქონიოს მსოფლიოზე, მარად-კი სასო უნდა წარიკვეთოს, რომ მისი ან დასაწყისი ან ბოლო იპოვოსო",—სევდით სავსე ამბობს პასკალი. მეცნიერება ფაქტებს უნდა დაეფუძნოს, ამ ფაქტებიდან ისეთი ჰიპოტეზები დაასკვნას და მით იხელმძღვანელოს, რომლის ცდით შემოწმება ყოველთვის შესაძლებელი იყოს და რომელიც უნდა გვიხსნიდეს ბუნების სხვა და სხვა მოვლენას. ამ ფარგალშია მომწყვდეული მეცნიერება, ამის გარეშე კი ყოველივე წყვდიადითაა მოცული"...—წიგნი მეორე გვ. 32.

ამ სამეცნიერო წიგნებიდან მოკლედ ამოკრებილ სიტყვებიდან ცხადად სჩანს, რომ მეცნიერებას ადამიანის მაიმუნობაზე ჯერ დამტკიცებული არასფერი არა აქვს და, თუ მივიღებთ მხედველობაში უკანასკნელ მუხლში მოხსენებულ აზრს (ცდით შემოწმებას), არც ექმნება თავის დღეში. მიუხედველად ამისა, ჩვენი „სასიქადულო" გ.—მე—გ.—ლი.[1]) და მისთანანი წინ უსწრებენ მეცნიერებას, როგორც ნიშადურ ამოცხებული სახედარი მოლას და გაიძახიან, რომ: „კაცი მაიმუნია და მაიმუნი კაცია, მაშასადამე არ ყოფილა და არც არის ღმერთიო".

ტონკმელი.

(შემდეგი იქნება).

---

[1]) ჩვენი „დიდება" და „სიამაყე" ი. გ. იყო და ახლაც არის „უდიდებულესი" გვამი. ნასოციალ-დემოკრატარია, ახლა ცარიელი სიტყვით დემოკრატობს, უფრო კი უგუნურობის მწერალია, თუ სიტყვას: „უგუნურობას" ხალმრთო წერილის აზრით ავხსნით, როგორც უღმრთოებას. იყო წევრი პირველი „დუმისა". იქაც და აქაც, აქაც და იქაც „ამბანაგებში" პირველობას ჩამულობდა. სამაგიეროდ, როცა მისი ამბანაგები ცივ ქვეყნებში გაისტუმრეს და ზოგიც თვალ-ამოშრეტილი ციხეში ლპება, მასაც დაუნიშნეს „უდიდესი" სასჯელი—დიახ „მძიმე": ზაფხულობით უნდა იცხოვროს ბორჯომში და ზამთრობით თბილისში. არ ეცი რანაირად შეხვდა მას ეს „გადამეტებული" დასჯა. ეტყობა, სხვაზე მეტად „გულწრფელად" ულვწია, ან მსაჯულთა წინაშე სხვასავით „ვერ მოუხერხებია" თავის დაცვა, რომ შეემცირებიათ სასჯელი.. ახლა?—ახლა

დაბადების მოთხრობა

ადამისა და ევას შეცოდებაზე ნამდვილი ისტორიაა, თუ ალეგორია და ზღაპარი?

(ჩვენი მატერიალისტების აბდა-უბდის გამო)

ვაჰ დედა თქვენსა, ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა!
ა რ წ ი ვ ი—ვაჟა-ფშაველასი.

II. თავი.

ადამისა და ევას შეცოდების შესახებ არსებობს სამი მიმართულება: **ალეგორიული, მითიური და მართლმადიდებლობითი.**

მოსეს მიერ აწერილ ისტორიაში შესახებ სამოთხისა, ორი შესანიშნავი ხისა (ხის ცხოვრებისა და ხის ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა), გველისა, რომელმაც ევა შეაცდინა, ერთი ჯგუფის მეცნიერნი (სახელდობ: ებრაელების ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, თანამედროვე იესო ქრისტესი—ფილიონი*), ალექსანდრიის არქიეპისკოპოსი კლიმენტი**) ორიგენი***) გრეზდე, შოებული, მარტენსენი, ლანგე, შენკელი და სხვანი) პოულობენ მხოლოდ „სიმბოლოებს“, „სახეებს“, „იგავებს„ და არა ნანდვილს ისტორიას და პირდაპირ ფაქტებს.

ეს თეორია შეთხზა ფილონმა, მერე შეითვისა იგი ალექსანდრიის საქრისტიანო სკოლამ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ორი მნათობი მაშინდელი სღვთისმეტყველო მეცნიერებისა: კლიმენტი და ორიგენი, აქედან მიიღეს ზოგიერთმა მწვალებლებმაც, მაგალითად ოფიტებმა [1]). ამავე თეორიას ვხედავთ ახალს მწერლობაშიაც, სადაც მისი მხურვალე მიმდევარნი არიან: (den Nebenarbeiten rur thelogischen Iiteratur, seit 82), **ტელლერი** (იხ. ეიხორნის: Urgeschichte, Band. II, Fh. 2, 4, 95), **ლესსი, მიხაელისი, შტორი, გრეზდე, ბეფენბანდი** Betrachtungen Fh. II, B. 2, 5, 659) და ზოგი სხვაც. ამ მეცნიერების აზრით მოსეს თქმულება ადამსა და ევაზე არც სულ ზღაპარია, რომლითაც ერთობიან სოფისტები“, მაგრამ არც სულ ნანდვილი ფაქტია თავიდან ბოლომდის და ისტორიული ამბავი, ასე რომ მისი პირდაპირი მიღება შეუძლებელია. ფილონი გვეუბნება, რომ თავი და თავი ძარღვი ამ მოთხრობისა მართალია, ფაქტია, მაგრამ რაც შეეხება გარეგნულს წვრილმანებს, ესენი მხოლოდ „სახეა“, რომელიც შეიცავს შიგ გახვეულს აზრს, რომლის გამოკვლევა და გაგება

*) Omnia gue extant opera. De mundi opificio p. 34—39, 48, 56. 117.

**) Строшаты, перев. Корсукскаго 1892 г. кн. III, 14, 17; V, 8 и 11 главы.

***) Contra Coelsa, IV 40.

[1]) იხ. Ириней: „Противъ ересей, т. I, 30; კლიმენტის: „строматы“ III, 12.

ხომ ასე შორს კია ჩვენგან ხორციელად, მაგრამ სულიერად ისევ ჩვენში ტრიალობს—მის „დაბეჩავებულ“ ერს მსახურებს. განისვენებს-რა წიაღსა შინა „ეშმაკის მათრახისასა“, ხალხში „კუდინად“ წოდებულისასა, არის მისი უტყუარი თანამშრომელი. ასეთი დიდებული პირის განსასვენებული ადგილიც სწორედ იქ არის (როგორიც ჟურნალი, მისთანავე მკურნალი). მისი უმაღლესი ნიჭი უფრო იმაში გამოიხატება, რომ თუ სოფლის ცულლუტა, პატარა დემოკრატუშკამ რაიმე ჭორი ჩააწვეთა ყურში, ის აპილპილდება და მთელის არსებით წერად გარდაიქცევა. ამ მოჭორილი ამბებით, ვის გინდა, რომ არ შეეხოს, ჩვენიანს და არა გარეშეს, რა თქმა უნდა, ფურცლებსა ზედა „ეშმაკის მათრახისასა“... მის ნაწერებს შემქნელის „უმაღლესი ზნეობის“ ბეჭედი აზის... აზრის „შესამკობად“, მისი მუზა ნებას აძლევს სრულიად მოურიდებლად იხმაროს მწერლობაში სიტყვა: „მამაძაღლი“... ასე თუ ისე დიდი მწერალია, კალამს ხელიდან არ აგდებს, სწერს მეცნიერებაზე უფრო. თუ ცოტა ღმერთმან დააცალა დარვინის ხსენებას მოსპობს და თავზედაც გადაურბენს მას. მის ვინაობას სავსებით აწერს წერილებზე, რომ კარგად დაინახსოვროს მისმა ერმა ვინ არის, ან რა ხელობისაა ის. სახელის მოხვეჭა მეტის-მეტად სწყურია, მაგრამ იცის მისი თავის ამბავი, რისი ნიჭი უფრო შესწევს; იცის, რომ ზნეობრივი წერილებით ის სახელს ვერ მოიმკის. ეტლის წიგნიდან აქვს ამონაკითხი, რომ მისი სახელი და დიდება ალმა ხვნა და დალმა ფარცხვაშია, რასაც ის სავსებით მისდევს და კიდეც განითქვა სახელი ზურგსა ზედა, ასეთ შვილების მომსწრე, მართლაც ბეჩავ საქართველოისასა.

ავთ.

საჭიროა“ [1]) ძველი დროის მწერლებს უყვარდათ ფიგურალურად და იგავებით წერა, თუმც ეს ისტორიულს მხარეს ამბისას არ არღვევს და რა გასაკვირველია, რომ მოსემაც ამ ფორმით, სიმბოლიკით, ფარდით, ნაღაბით ისარგებლა და შიგ გახვია ნამდვილი ფაქტი? (ზაქარია, კრამერი, კლიმენტი). „ეს მოთხრობა,— ამბობს ლანგე,—ისტორიული ამბავია რეალურ და იდეალურ, ე. ი. სიმბოლიურ ტანსაცმელში (იხ. მისი Fheologisches homiletisches B. belverk die genesis. გვ. 97). „აქ ჩვენ ვპოულობთ ერთად ისტორიას და საღმრთო სიმბოლიკას, ანუ მხატვრობით წარმოდგენას ჭეშმარიტს შემთხვევაზედ...“ ისე, როგორც ჩვენ ვხედავთ საგანს, მაგალითად, სარკეში (Martensen die christliche dogmatik, გვ. 14; შეადარე ბოჟბელის: die christliche dogmat 1889 წ. ტომი I, გვ. 191). მაშასადამე, მოსეს თქმულებაში უნდა გავარჩიოთ ორი მხარე: ნამდვილი შინაარსი, როგორც ისტორიული ფაქტი, და გარეგანი ქერქი, რომელშიც ეს შინაარსი, ფაქტია გახვეული. ამიტომაც როცა სამოთხის ხეებზე ლაპარაკობს, ფილონი ამბობს: „მე მგონია, რომ ყველაფერი ეს არის ნათქვამი (მოსესგან) არა იმდენად პირდაპირ, რამდენადაც მხატვრულად, ფიგურალურად (persimil. tudines), ფილოსოფიურად, თორემ დაუჯერებელია, რომ დედამიწაზე ყოფილიყვენ ისეთი ხეები, რომელთაც ჰქონოდათ სიცოცხლე და გონიერება, მსგავსად ადამიანისა. მაგრამ, მე მგონიათ, განაგრძობს ფილონი, ბაღის მაგიერ უნდა ვიგულისხმოთ რაღაცა არსებითი ძალა სულისა, რომელიც აღვსილია ურიცხვი აზრებით, ვითარცა ბაღი მცენარეებით“ [2]). ალლეგორიულადვე უნდა იყოს გამოყვანილი ბაღის ორი ხე: ხე ცხოვრებისა და ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა და არა როგორც ნამდვილი, ფიზიკური, ნივთიერი ხე (იხ. იოანნე დამასკინის: точное изложеніе прав. вѣры, кн. II, гл. 2, стр. 87—89; გრიგორი ნაზიანზელი: Творенія св. отцовъ, т. III, გვ. 247). კლიმენტის აზრით, სამოთხის ხე ცხოვრებისა არის სახე ღვთის განგებისა და ჩვენზედ მზრუნველობისა, რადგან თვით განხორციელებულმა „ლოგოსმა“ და მიზეზმა ჩვენი ცხოვრებისამ კეთილ ინება ხეზე გადმოკიდება (ჯვარცმა) [2]). ფილონის სიტყვით-კი ხე არის სიმბოლო სათნოებისა, რომელიც სულს ჰყოფს უკვდავად (ზნეობრივად). [3]) მეორე ხე, ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა რაღა უნდა იყოს? ლამაზი ნაყოფი ამ ხისა წარმოგვიდგენს ალლეგორიულად ქვეყნიურს გრძნობიერობას და წარმტაც მშვენიერებას. როგორც ევამ ვერ გაუძლო ხილის მშვენებას და გემოვნებას, აგრეთვე კაცს იტაცებს და აგდებს ცოდვაში ქვეყნიური მიმზიდველობით გამოწვეული ვნებათა ღელვა [4]). შენკელის აზრით ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არის მისი სახე, რომ კაცი ზნეობრივად განვითარდა და ავი და კარგი გაარჩია. [5]) შოებელი კიდევ სულ სხვას გვეუბნება. მისი აზრით ეს ხე არის მშობიარობის სიმბოლო, რადგან ხშირად ზღაპრებში ხე ნიშნავს ქლვას, ან ქუხილის ისარს, რომელიც ტყორცნის დროს ეცემა დედაკაცის გვამში და აორსულებს მას (hes mythe de femme et du serpent p. 49); (შეადარეთ ქართული ზღაპარი „ხოკერა ბაყაყი“, ანუ „სამი ძმა და მზეთუნახავი ქალი ბაყაყის ქერქში“).

გველი რაღა არის, ის გველი, რომელმაც ევა შეაცდინა? ფილონის აზრით გველი სხეულის გრძნობიერებაა, ანუ ვნება, თუმცა ამის დასამტკიცებლად მას ძლიერ ახირებული საბუთები მოყავს, რომელზედაც ლაპარაკი არც კი ღირს. [6]) შხამიანი კბილების მქონე გველი იგი-

[1]) philon de mundi opificio p 36.

[2]) ფილონი. de mundi opificio გვერდი 34. ბევერბანდის აზრით, სამოთხე ადამის სხეულია (იხილე გაბლერის Einleitung ეიხორნის თხზულებაში Urgeschichte, ტომი I, გვერდი 407), კლიმენტის აზრით სამოთხის ბაღია ქვეყანა (სტრომატები, წ. VII, თ. 11, გვ. 581), ორიგენის ფიქრით სამოთხე მოასწავებს ქრისტეს ეკკლესიას და სულიერებას, პირველდელს ბინას.

[2]) კლიმენტი: строматы; V, 581.

[3]) De mundi opificio, p. 34.

[4]) იხ. Мартелсенъ Choristliche dogmatik. 14.

[5]) Christl. dogm. s. 191.

[6]) De mundi opif. p. 36.

ვე გაუმაძღარი კაცია და მოლაპარაკე გველი-კი ქეიფის მოტრფიალე ადამიანი, რომელსაც მისივე გაუმაძღრობა ღუპავს. (იქვე). ამის საბუთი კლიმენტის მოყავს. ის ამბობს, რომ ის თვისებები, რაც დღეს აქვს კაცს: სმა, ჭამა, განცხრომა, ლოთობა... უგველოთაც ქონდა კაცს და არა გველისგან მიიღო. ასე რომ არ იყოს, მაშინ გამოდის, რომ უგუნური პირუტყვი უფრო სრულ არსებად შეუქნია ღმერთს ვიდრე ადამიანი, და ეს კი ხომ შემოქმედის შეურაცხყოფაა?! ასეთივე ნიღაბ აფარებული არ იყო ქვეყნად თვით მაცხოვარი, რომელიც უბრალო მომაკვდავის სხეულში და ტანსაცმელში იმალებოდა?! [1]) ასე რომ გველი სიმბოლოა და არა ფიზიკური, მართალი გველით. თუ ასე არა, სრული უაზრობა გამოვა: პირუტყვები ღმერთმა კაცს დაუმორჩილა და მოგვარა სახელების დასარქმევად. კაცმაც ყველა გადაარჩია, შესაფერი სახელი მისცა და თავისი შესაფერი ტოლ-ამხანაგი მათში ვერ პოვა, ამავე დროს რა წარმოსადგენია, რომ უგუნური და უენო პირუტყვი, მონა—მორჩილი და იარაღი გონიერი კაცისა გამომდგარა და კაცსავე აცდენს, ე. ი. მას სჯობნის მოხერხებით და გონიერებით?! (იხ. დაბადება თ. II, მუხ. 19-20) ამას ამბობს მეცნიერი ლანგე. [2]) მარტენსენიც ზნეობრივს აზრს პოულობს აქ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისი შეხედულობით, გველი მოასწავებს კაცში არსებულს ლტოლვილებას დამოუკიდებლობისადმი, ანუ თავისუფლების ძებნას შემქმნელის დაუხმარებლად; მოკლედ რომ ვსთქვათ, გველი არის „კოსმიური პრინციპი ქვეყნის ავტონომიისა“ —. [3]) ამნაირად რაკი მოსემ ერთხელ გველი გამოიყვანა ეშმაკის ნაცვლად, მის სახედ, ამით მან მთელს მოთხრობას მისცა მხატვრობითი, სიმბოლიური ხასიათი და მნიშვნელობა (ვიტრინი, რუსი, ლანგე, რამბახი) [4]).

ტონკმელი.

(შემდეგი იქნება).

წერილი რედაქციის მიმართ.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ ჟურნალ „შინაურ საქმეების“ ახლობელ ნომერში ამ ჩემ წერილს და და მით საშვალება მომცეთ გამოველაპარაკო გაზ. „ამირანის“ კორრესპონდენტს. გაზ. „ამირანის“ მეათე ნომერში მოთავსებული იყო კორრესპონდენცია სოფელ ვაკისუბნიდგან, რომელშიაც კორრესპონდენტი ბატონი ქვიანელი უსაბუთო ბრალდებით და ცილისწამებით ჩირქს მცხებს (და ვითომ) მამცირებს საზოგადოების თვალში. ყოველივე მის მიერ მოყვანილი ბრალდება მტკნარი სიცრუეა და აშკარად ეტყობა, რომ ის რაღაც პირად ანგარიშებს გაუტაცნია, ამოფარებია ლობეს და იქიდგან ისვრის ტალახს ჩემსკენ. ქვიანელი სწერს თავის კორრესპონდენციაში, რომ სოფ. ვაკისუბანი სამი ვერსით არის დაშორებული ქუთაისზედო; მოკლებული ვართ, როგორც სწავლა-განათლებასო, ისე სულიერს მამასაცო, რადგან ის ქუთაისშიდ სცხოვრობსო; ამის გამო ავადმყოფის პატრონი იძულებულია ქუთაისში ეძებოს მღვდელიო; ჩვენ სულიერ მამას კი არა სცალიან, რადგან ის ადვოკატობს, მრევლისათვის სხვა და სხვა დაწესებულებებში დადის და გასამრჯელოთ წვრილ რამეებს იღებსო და სხვა... ბ-ნ. ქვიანელს ან არ გაეგება ვერსის არაფერი და ან არ ყოფილა ჯერ ვაკისუბანში, თორემ ასეთ სიცრუეს არ იტყო-

---

[1]) იხ. Строматы, III, 382.

[2]) იხ. მისი Pheologishes homiletisches Bibelwerk: die Genesis - Seit 96—97.

[3]) იხ. მისი: Die christliche dogmatik, heit, 141.

[4]) იხ. გაბლერის თხზულებაში: Einleitung Urgesch; chte Eichhorvis, B. I, s. 265. იმასაც ამბობენ, რომ ეშმაკი ადამსა და ევას მოეჩვენა კაცის სახით და არა გველის სახითო. (იხ. იქვე გვ. 267. შტორიც ამ აზრისაა.

და. ეს სოფელი აკრავს ქუთაისს სამხრეთით, დაიწყება მესხეთის ქუჩის ბოლოდგან, ნამდვილ იმ ხაზიდგან, სადაც ქალაქი თავდება; მე ვცხოვრობ ქუთაისშიდ მესხეთის ქუჩის თავზე და ვაკისუბნის ეკლესიამდე მაქვს მანძილი გასავლელი 2½ ვერსი. ნაწილი ჩემი მრევლისა ქუთაისშიდ ცხოვრებს, ნაწილი ქალაქის ხაზიდგან დაწყებული ეკლესიამდე და დანარჩენი კი ეკლესიის გარშემო.

შაბათ-კვირას და დღესასწაულ დღეებში ყოველთვის მრევლში ვარ; სხვა დროს, დასჭირდება თუ არა ხალხს რომელიმე მღვდელთ მოქმედების შესრულება, ადვილად მაცნობებენ, რადგან დღე ვაკისუბნელი კაცი სანახევროდ ქალაქში ჩამოდის საგაჭროდ. მეც მზათ ვარ მაშინვე მივეშველო ეტლით თუ ფეხით მრევლს; ამგვარად მსახურებდა ქუთაისიდან ჩემი წინა მოადგილე მღვდლები და მეც ამგვარად ვმსახურებ ამ მრევლში აგერ თოთხმეტი წელიწადია და ჯერ არავისგან შემხვედრია საყვედური, რაც შეეხება მას, რომ მე ვითომ „ვადოკატობ“ ეს სულ მეტია; მღვდელი თავის მრევლისათვის მოძღვარიც უნდა იყოს ექიმიც და მასთან ვექილიც, რადგან საწყალ ხალხს ხშირად სჭირდება ყოველ გაჭირვების დროს დახმარება და გვერდშიდ ამოდგომა. სოფლის ხალხი ყოველივე გაჭირვების დროს ხშირად მიმართავს მღვდელს რჩევა-დარიგებისათვის, როგორც თავის მოძღვარს; ჩემთანაც ხშირად მოსულა ჩემი მრევლთაგანი და უთხოვნია დახმარება რაიმე საქმეზედ, მეც შეძლებისადაგვარად გზაზედ დამიყენებია და დახმარება მიმიცია, ამისათვის მე არავითარი სასყიდელი და ქრთამი არ მითხოვნია და თუ კი ვინმეს პურ-მარილით პატივი უცია ჩემთვის, ეს კი თავზედ არ გადამიბერტყებია, სამაგიეროდ მეც პურ-მარილითვე გამისტუმრებია. ნეტავ სადაურია ბატონი ქვიანელი, რომ ქართველური სტუმართ მოყვარეობა და პატივის ცემა არ უნახავს და არ გაუგონია დღემდე? ის ქვიანელი კი არა, მგონი, ქვესკნელიდგან ამომძვრალა, ან მთვარიდგან ჩამოვარდნილა და ეუცხოება ყოველივე ჩვენი ადათი და ჩვეულებანი. თავის ქებად არ ვიტყვი და არც ჩამოვთვლი მას თუ მე რა სიკეთე დამითესია ჩემს მრევლში, მაგრამ ერთ გარემოებას მოვიყვან აქვე სამინუშოდ: ამას წინად მთავრობამ რაღაცა შემთხვევისა გამო დააჯარიმა მთლად ქვიტირის საზოგადოება ათასი მანეთით. მე მივიღე ზომები დავეხმარე ხალხიდგან არჩეულ პირებს მთავრობასთან და ამ ჯარიმისაგან განვათავისუფლე ხალხი. რად უკვირს ქვიანელს, რომ ასეთი სიკეთის შემდეგ ხალხმა მეც დამაფასოს, პატივის ცემა და სიყვარული გამომიცხადოს. სწავლა-განათლების მხრით, ვაკის უბანი არც ისე დაქვეითებულია როგორც ქვიანელს ჰგონია: აქვე მახლობლად სოფელს ქვიტირშიდ, რომლის საზოგადოებასაც ეკუთვნის ვაკისუბანიც, არსებობს ორკლასიანი სასწავლებელი საქალებო განყოფილებით. ვისაც სურს იქ აგზავნის ბოვშს და ვისაც არადა ქუთაისიც აქვე აქვს და იქაურ სასწავლებელში ასწავლიან თავიანთ შვილებს. არას დაუმადლებენ ვაკისუბნელები ბ-ნ. ქვიანელს ამგვარი ფარისევლური გულმტკივნეულობისათვის. მე კი როგორც მიმსახურნია დღემდე, ისე ვემსახურები კვლავაც ჩემს მრევლს ერთგულად.

სოფლის ვაკისუბნის ეკლესიის მღვდელი.

ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲛ ᲙᲕᲘᲠᲝᲑᲐᲛᲓᲔ.

16 მაისის სხდომაზე დუმამ მიიღო ხარჯთაღრიცხვა მინისტრთა საბჭოს კანცელიარიისა და **შეუდგა კამათს** უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის მოხსენებაზე **შესახებ ქალაქსა და სოფლის სამღვდელოებას ჯამაგირებით უზრუნველყოფისა.** მომხსენებელი კომისიის აზრით, საჭიროა გადაიდოს რუსეთის სამღვდელოების ჯამაგირებათ 12 მილიონ მანათის გარდა კიდევ 400,000 მანათი, ვინაიდან ის ნივთიერათ გაჭირებულია და იძულებულია ხალხს მოსთხოვოს ზედმეტი სასყიდელი სხვა და სხვა საჭირო მღვდელ მსახურებისათვის.

ამ საგანზე სალაპარაკოთ ჩაეწერა 60-მდე ორატორი, რომელთაგან სამღვდელოების წინააღმდეგ ილაპარაკა მხოლოდ სამმა გლეხმა.

პირველათ ილაპარაკა სინოდის ობერ-პროკურორმა და გამოსთქვა სურვილი, რომ სამღვდელოებას ეძლეოდეს ღირსეული ჯამაგირი. მისი მზრით მღვდელს უნდა ეძლეოდეს წლიურათ 600 მან. მთავარს 300 მან. ღიაკვანს 200 მან. ეპ. **მიტროფანეს** აზრით საჭიროა სამღვდელოება იმდენათ იქნას ხაზინისაგან დაკმაყოფილებული, რომ არ ჭირდებოდეს მას ხალხისაგან ზედმეტი ფულის აღება.

მღვდელი **ბეშეცკი** იმის დამტკიცებასაც კი ცდილობს, რომ რუსეთის სამღვდელოებას დიდი კულტურული და განმანათლებელი ღვაწლი მიუძღვის ხალხის წინაშე, რისთვისაც ის ღირსეულათ უნდა იქნას დაჯილდოვებული.

მღვდელი **კომარეცკი** ოქტომბრისტების მონდობილობით აცხადებს, რომ ის თანაუგრძნობს სამღვდელოების ჯამაგირებით უზრუნველყოფას, რათა პირნათლად შეასრულონ მათ „მოძღვრის“ მოვალეობა.

კადეტთა წარმომადგენელი **კარაულოვი** ამბობს: „მე ხალხის თავისუფლების ფრაქციისაგან მონდობილი მაქვს .განვაცხადო, რომ ჩვენ ხმას მივცემთ როგორც სამღვდელოებისთვის ჯამაგირების მომატებას და მომხსენებელ მომისიის წინადადებას, ისე მისი უსამღვდელოესობის მიტროფანეს მიერ წარმოდგენილ ფორმულას“.

მემარცხენე გლეხი დეპ. **კროპოტოვი** კრიტიკულათ ეხება სამღვდელოებას და ამბობს: სამღვდელოება თავის გაჭივრებაზე ბევრს ლაპარაკობს და 13 მილ. მანათს ჯამაგირათ მოითხოვს; ამისაც არ ჯერდება და ხალხს მღვდელმსახურებისთვის ტყავს აძრობს, მაშინ როდესაც გლეხკაცობა სულით ხორცამდე გაღატაკებულია და მასზე არავინ ზრუნავს. კიდევ კარგი, რომ სამღვდელოება ჯამაგირების მომატებით დაკმაყოფილდებოდეს. მაგრამ, ის ხაზინიდანაც მიიღებს საკმაო ჯამაგირს და ხალხსაც თავისებურათ წინანდელებრ დაუწყებს ყვლეფას. ყოველ შემთხვევაში ორატორის აზრით საჭიროა დუმამ ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ ეგრეთ წოდებული „შავი სამღვდელოება“—არქიეპისკოპოზები და მიტროპოლიტები—ძალიან დიდ ჯამაგირს და შემოსავალს იღებენ. მაგ. მოსკოვის მიტროპ. ღებულობს 76,000 მან., პეტერბურგის—200,000 მან., ნოვგოროდის 300,000 მ. და მრავალი არა ნაკლებ 20,000 მანეთისა; მონასტრები ხომ მილიარდობით ანგარიშობენ თავიანთ შემოსავალს. აი ასეთ წყაროებიდან შეეძლო სამღვდელოებას დაეკმაყოფილებია თავისი თავი და არ მიემართა ხაზინისათვის. (ტაშის ცემაა მარცხნით). ამიტომ გლეხთა ჯგუფი უარყოფს სამღვდელოებისთვის ჯამაგირების დანიშვნას ხაზინიდან და წინადადებას აძლევს დუმას უარყოს მან ამის შესახებ კანონპროექტი.

სამღვდელოების წინააღმდეგ ილაპარაკა მემარჯვენე გლეხმა **იურკევიჩმაც**, რომლის აზრით დუმამ უპირველესათ გლეხკაცობის გაჭივრებაზე უნდა იზრუნოს რამე, მიიღოს ზომები გაღატაკებულ გლეხკაცობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და არა სამღვდელოების გასასუქებლათ. („მართალია“, ტაშის ცემა მარცხნით).

დასასრულ დუმა შეუდგა კანონ პროექტის ნომრობით განხილვას და ბოლოს დაამტკიცა ის სრულიად შეუცვლელად. (იხ. „ჩვენი კვალი“ № 2).

გასაკვირველია, რომ დუმა და აგრეთვე „ჩვენი კვალიც“ თვალს ხუჭავს და არ უნდა დაინახოს, თუ ვინ სუქდება ხაზინის ფულით ან ხალხის ოფლით. ნუ დაივიწყებენ, რომ ბევრი ორგანიზაციები იყვნენ და არიან ნამდვილი წურბლები, რომლებიც ხალხის ჯიბის წვენით იკვებებოდენ და იკვებებიან. სამღვდელოება თხოულობს საშრომელს თავის შრომისათვის, რადგან სხვა შრომას დამცდარია და არსაიდგან სახსარი არა აქვს, როგორც ამას შვრებიან ყველა მოსამსახურე პირები, აი თუ გინდა ის გლეხებიც, რომლებიც დუმაში ზიან, წელიწადში ერთ ხმას ამოიღებენ და დღეში თუმანსაც კი ცოტაობენ. თუ შრომის ნაყოფიერებას მიექცევა ყურადღება, ახალ მოდის ყმაწვილები ბევრ სხვა შრომის ნაყოფიერებასაც უარს ჰყოფენ ამ მხრივ და აბა ერთი სინ-

ჯეთ და მიანდვეთ ხალხს, თითონ ამოირჩიოს და უზრუნველჰყოს ის პროფესიის პირნი, რომელთ შრომას ნაყოფერს ეძახის. თქვენ მალე დარწმუნდებით, რომ ხალხი არ კეთ დაწესებულებაზე თანხმობას არ განაცხადებს, ოღონ ჯიბე გაითავისუფლოს გადასახადებისაგან. უამისოთ კი არავინ დასთანხმდება სამსახურზე, სანამ არ დადგება ის სანეტარო, და მით არა ნაკლებ გასაოცარი, დრო, როცა ადამიანები ანგელოზებათ გადაიქცევიან, ე. ი. სოციალიზმი, რომლის განხორციელებას ასე ადვილად ფიქრობენ ჩვენი მარქსისტები და საზოგადოდ ყოველი ჯურის სოციალისტები.—თუ გნებავთ, მღვდელსა და ერს შუა ეს სოციალიზმი მისი საუკეთესო მხარეებით, უკვე განხორციელებული იყო იმ ნეტარ დროში, როცა მღვდელი უსასყიდლო მოამსახურე იყო ხალხისა, ხოლო ხალხი უსასყიდლოდ არჩენდა მას მოსავლით, ე. ი. მღვდელი ღებულობდა სამაგიეროს, რამდენიც საჭირო იყო მისი არსებობისათვის.

მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას.

(გომართელის „სულისა და ტვინის“ გამო).

პირობას შესრულება. შობის წინ დღით 24 დეკემბერს 1890 წ. საღამოს ექვს საათზე, გადმოგვცემს ბ. გლადკევიჩი, მე ეხლა უკვე გარდაცვალებული ჩემი დით და ათი წლის ძმით დავბრუნდი დაღალული სასაფლაოდგან, სადაც გავასვენეთ ერთი ჩვენი კარგი ნაცნობი მანდილოსანი, უკვე მოხუცებული, რომელმაც ცოტა ხანს იავათმყოფა და გადიცვალა 22 რიცხვს ეგრეთ წოდებულ შაქრის ავათმყოფობისაგან. სამი საათის შემდეგ ჩვენ და ახლად მოსული სტუმარი ნათესავი თავის ცოლით ვახშმათ დავსხედით. ვახშამზე მამაჩემმა, რომელსაც ოხუნჯობა უყვარდა, გვკითხა: „რას იზამთ, რომ ეხლა მოვიდეს გარდაცვალებული ელენა კონსტანტინოვნა?“ არაფერს, მივუგე მე, დავისვამ გვერდით და გამოვკითხავ, როგორ შვიდობით ბრძანდება სიკვდილის შემდეგ და საზოგადოდ როგორ ცხოვრობენ საიქიოს. (თითონ მე მაშინ ეშვის თვალით ვუყურებდი საიქიო ცხოვრებას). ჩემმა დამ კი, რომელიც დასაფლავებას დაესწრო და ნახა მიცვალებული კუბოში, რომელმაც თავის შეხედულებით და სიდიდით უსიამოვნო შთაბეჭდილება იქონია მაზე, უარი განაცხადა მთელი თავისი მჭევრმეტყველობით და მოითხოვა მოგვესპოასეო ყველასათვის უსიამოვნო მუსაიფი და ისიც ღამით, რაც რასაკვირველია მაშინვე შევასრულეთ. ვახშამმა ყველას სასიამოვნოთ კარგად ჩაიარა, ვახშამის შემდეგ ასე თერთმეტ საათზე, მამა, დედა, ღები და ძმა წავიდნენ თავთავის ოთახებში, მე კი ჩემის ნათესავით დავრჩით სტოლზე და განვაგრძეთ ჩვენი მუსაიფი, რომელმაც ბოლოს საყვედურის ხასიათი მიიღო ჩემ სახელზე, რადგანაც მე არ მოუპოვე მას ოპერის ბილეთები, რითაც მოაკლდა სიამოვნებას, რომ უქმეებზე, როგორც მუსიკის მცოდნეს, სასიამოვნო დრო გაეტარებია და ენახა საუკეთესო საოპერო ძალები. მართლაც დასაფლავების გამო მე არ გავსჯილვარ ბილეთების მოსაპოებლად ხოლო ოპერის რეპერტუარი კი რჩეული იყო და მიმზიდველი. რომ გამესწორებია ჩემი შეცდომა და ნათესავის სურვილიც შემესრულებია, მე გავერთე ფიქრში, თუ როგორ მეშოვნა ხვალისათვის საკმაო რიცხვი ბილეთებისა, რადგან წინდაწინვე ვიცოდი, რომ მე არ მეცლებოდა, როცა კასსა ღია იქნებოდა. იმ დროს როცა მე ამას ვფიქრობდი უეცრად შევკრთი რალაც უცნაური ტკაცანის გამო, რომელიც მომესმო მე ძრიელ ახლოს, არ ვიცი სამზარეულოდგან, სადაც იყვნენ დედაჩემი და მოსამსახურეები, არ ვიცი სასტუმროდან, რომელიც ჩვენ პირდაპირ იყო, არ ვიცი ჩემი ოთახიდგან, სადაც იყვნენ სამი ჩემი და და რალაზედაც გაცხარებული მსჯელობდნენ,—ერთი სიტყვით მე ვერ გამოვარკვიე საიდგან მომესმო ეს უცნაური ტკაცანი, რომელიც ყველამ გაიგონა, მაგრამ ყ ელამ სხვა და სხვა ადგილიდგან, როგორც შემდეგ გამოირკვა. მე მომეჩვენა, რომ

სამზარეულოში მოსამსახურე ქალი ნიფოტებს ამტვრევდა. აქ მე ავიღე თავი და გავიხედე ბნელ სასტუმროს ღია კარებში, სადაც დავინახე, რომ დივნის პატარა მაგიდის საფენის არშიას ეკლაკნებოდა ცეცხლის ენები, ხოლო ერთ წამს შემდეგ ამავე მაგიდაზე, ცეცხლის ენებ შორის, მე დავინახე ცოცხალი სურათი (წელ ზევით) მიცვალებულისა, რომლის სახე ოფლში გაღვარული მეჩვენა და ძალზე წითელი, თვალები შეშინებულივით მომშტერებოდენ მე და თმა დაპუწული ჰქონდა შუბლზე, ე. ი. მე იგი წარმომიდგა იმ სახით, რა სახითაც თავის დღეში არ მენახა, მიუხედავად ამისა, რომ იყო ხოლმე დრო, როცა მე ძალიან ხშირად დავდიოდი მის ოჯახში. ამ სრულიად მოულოდნელმა სანახაობამ ისე გამაშტერა, რომ 10-15 წამს ერთი სიტყვაც ვერ წარმოვსთქვი და გასაკვირვალი ის არის, რომ მე არ ვგრძნობდი არავითარ შიშს, მხოლოდ მიკვირდა და ვფიქრობდი, თუ რა უნდა ყოფილიყო ეს? ბოლოს მე მოუბრუნდი ნათესავს, რომელიც რაღაც ფიქრს გაეტაცებია და ვუთხარი: „შეხედე, რა ხდება მაგიდაზე მეთქი?“ ხოლო რადგანაც მე არ გამიგებინებია სად და რომელ მაგიდაზე „ხთებოდა“, მან დაუწყო თვალიერება იმ მაგიდას რომელზედაც ვისხედით და იმეორებდა „ვერაფერს, სრულიად ვერაფერს ვერ ვხედავო. „მე ამან შემაშფოთა და თვალი ხელმეორედ მივაპყარი ჩვენებას, მაგრამ იგი უკვე აღარ იყო, აღარ იყო ცეცხლის ენებიც.

რა თქმა უნდა მე მაშინვე ვუამბე ეს ჩვენება შინაურებს და ერთი საათის, თუ საათნახევრის შემდეგ დავწევი დასაძინებლად. ძილის მაგიერ, რომელიც ჩემთვის ძვირელ საჭირო იყო, მთელი ღამე იმაზე ვიმტვრევდი თავს—თუ რას ნიშნავდა ეს ჩვენება? ძალიან კარგად ვიცი, რომ მე არ მჭირს გალლიუცინაცია, არც მეტი დამილევია ვახშამზე და ჩვენების დროს სულაც არ ვფიქრობდი მიცვალებულზე. მხოლოდ ალიონზე გამახსენდა, რომ ერთხელ—როგორც მახსოვს ზაფხულში—მე ვესტუმრე მას და მან ჩაიზე მიმიწვია, რომლის სმის დროს ჩამოგვიარდა მუსაიფი გაუგებარ მოვლენებზე, რომელთაც ადგილი აქვთ ქვეყანაზე. შემდეგ, როცა მუსაიფი საიქიო ცხოვრებას შეეხო მან, დიდხანს არ უფიქრნია ისე, გამომიწვადა ხელი და მითხრა: „მე უკვე მოხუცებული ვარ, შენ, თუმცა ახალგაზდა ხარ, მაგრამ სუსტი ხარ; ვინც ჩვენთაგანი პირველად მოკვდეს, ეცადოს გამოეცხადოს დანარჩენს და ამით დაამტკიცოს საიქიო ცხოვრების არსებობა, თუ იგი მართლა არსებობსო“. ჩემის მხრით მეც ჩამოვართვი ხელი და აღვთქვი გამოვცხადებოდი, თუ უმალ მოგკვდებოდი. როცა ეს მოვიგონე მეელმა სხეულმა ძაგძაგი დამიწყო და რამდენიმე დღე აშლილი დავდიოდი: არ ვიცოდი რა მეფიქრნა, რა მეკეთებია და სად წავსულიყავი, თუმცა მიცვალებულის სახე სრულიად არ მდევნიდა, მაგრამ ფიქრი მომავალ ცხოვრებაზე, რომელიც დაამტკიცა მიცვალებულმა, მთლად მიპყრობოდა. აქედგან დაწყებული მე შევსცვალე ჩემი ცხოვრება. (Ребусъ 1897, № 4).

სტუმარა საიქიოდგან. 1868 წლის გაზაფხულზე, გადმოგვცემს ქ-ნი ავგუსტა დიუნელსი ბოსტონიდგან, მე გავატარე რამოდენიმე კვირა პატივცემულ ბ. კიმბლეის ოჯახში ქალაქ ბრენტუდაში, სადაც წავედი ავათმყოფობისა გამო საექიმოთ. ჩემი მასპინძლების მიცვალებულ ნათესავებზე მე არავითარი წარმოდგენა არ მქონდა და არავითარი ვიცოდი.

მე მომათავსეს ერთ დიდ ოთახში, რომელიც დაშორებული იყო სხვა საცხოვრებელ ოთახებს, რომლის პირდაპირ იყო კიდევ ასეთივე დიდი ოთახი შეერთებული მორჩილ ზალასთან. ერთ ღამეს, როცა ქ-ნი კიმბელი, არხიდიაკონის მეუღლე, გამოთხოვების დროს მეამბორა და მარტო დამტოვა დასაძინებელ ოთახში, მე უეცრად ვიგრძნე რაღაც განსაკუთრებული შიში. თუ შემძლებოდა იმ რაღაც უცნაური ძალის მოშორება, რომელმაც მე შემიპყრა ამ დროს, გავიქცევოდი ოთახიდგან; მაგრამ ვგრძნობდი, რომ ეს ჩემთვის ყოვლად შეუძლებელი საქმე იყო, ამიტომ მე მხოლოდ კარის დაკეტა შევიძელი, სანთელი დავაქვრე და დავწევი იმ იმედით, რომ დამეძინებოდა, რაც პირველად კიდეც შევასრულე.

მაგრამ არ გასულა რამოდენიმე წუთი, რომ რაღამაც გამაღვიძა და ამ დროს ვიგრძენი თავი სრულებით საღ მდგომარეობაში: შემაშფოთებელი ძალა, რომელიც დაძინების წინ ქვასავით გულზე მაწვა, თითქოს გაფრინდა. მაგრამ ჩემდა საუბედუროთ დაკეტილი კარი გაიღო და უფრო შემოცურდა, ვიდრე შემოვიდა არა ჩვეულებრივი ეთერის მსგავსი სურათი ახალ გაზდა ლამაზი ასე ოცი წლის ქალისა; ვარდის ფერი, მბიარული მოლიმარი სახე ალერსიანად შემომცქეროდა. მას ეცვა ნათელი მოყვითანო ტანისამოსი ასეთივე პერელინკით და იმავე ფართლის. მე კიდევ არ შემეძლო არც სიტყვის თქმა და არც განძრევა და მინდოდა მხოლოდ ერთი რამ, რომ ახალგაზდა ქალი მალე წასულიყო. მაგრამ იგი უფრო დამიახლოვდა, გაჩერდა არშინ ნახევარზე ჩემი კრაოტიდგან და დამიწყო ლაპარაკი გარკვეული და ცოტა ნაღვლიანის ხმით: „ნუ შეგეშინდებათ, მე ბ. კიმბლეის უნცროსი ქალი ვარ. მე გადავიცვალე ყელათმით და ყელისტკივილით აი იმ ოთახში, რომელიც თქვენ პირდაპირაა. მე მაშინ ორი წლის ვიყავი, მაგრამ, რომ ცოცხალი დავრჩენილიყავ, ეხლა ოცდა ერთის ვიქნებოდი. უთხარით დედას და მამას, რომ მე თქვენთან მოვედი, უთხარი კიდევ, რომ სიკვდილი არ არის და მე ძალიან ბედნიერი ვარ," სთქვა თუ არა ეს, იგი მაშინვე გაჰქრა და მე თითქმის იმავე წამში ღრმად დამეძინა.

მე მინდოდა შემომეწმებია ეს უცნაური ჩვენება და მეორე დილას საუზმის შემდეგ ნება გამოვითხოვე მასპინძლებისაგან რამოდენიმე კითხვისა, რომლებზედაც, ვთხოვე, მოკლეთ ეპასუხებიათ: ან კი, ან არა. როცა იგინი დამპირდენ, ვკითხე: „გყავდათ, თუ არა, თქვენ პატარა ქალი, რომელიც ყელათმით და ყელისტკივილით გადაგეცვალათ? — „დიახ"—მითხრეს ორივემ. "იგი ორი წლის იყო?" „დიახ"— ხელ ახლა მიპასუხა ორივემ. „რომ ცოცხალი დარჩენილიყო იგი ეხლა ოცდა ერთი წლის იქნებოდა ხომ? და ძალიან ლამაზი და ხალისიანი სახის პატრონი იყო? „დიახ, ოჰ დიახ, წამოიძახეს ორივემ. „კარგი, ეხლა მითხარით კიდევ, უკანასკნელი ტანისამოსი, რომელშიდაც იგი ავათმყოფობის წინ დადიოდა, ხომ ციალი ყვითელი ფერისა იყო და პერელინკით?" არხიდიაკონი მოშორდა მაგიდას; მისი გულიდგან ამოვარდა მსუბუქი კვნესა. „დიახ, დიახ ჩვენ საუნჯეს სწორეთ მაგნაირი ტანისამოსი ეცვა! ნახე თუ? თუ კიდევ მოვიდეს უთხარი ნახოს პაპა, პაპას ძალიან გულით უნდა მისი ნახვა!" ქ-ნმა კიმბლეიმ ტირილით წარმოსთქვა: დიახ ეს იყო უკანასკნელი ტანისამოსი, რომელიც მას ეცვა ავათმყოფობის წინ. წამოდი ჩემთან, მე გაჩვენებ თქვენ იმას." და როცა მან მიჩვენა კაბა და პერელინკა, მე გადავეცი მათ მონდობილობა საიქიოდგან მოსული მათი ძვირფასი ქალისა.

სანმანიანი.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი
მღვდელი სიმონ მჭედლიძე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲞᲠᲝᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐ

პირველი თებერვლიდგან ქალაქ ქუთაისში ქ-ნ ე. მჭედლიძის სახლებში (საბურთალო—კაზაკოვის—შესახვევი № 17) გაიხსნა კერძო ოთხკლასიანი პროგიმნაზია. აქვე ამზადებენ მსურველთ სხვა და სხვა სასწავლებელისათვის და ღებულობენ სარეპეტიციოდაც.

Типографія І. Хеладзе и И. Киладзе, въ Кутаисѣ